საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/15

ქ.თბილისი

„30" მაისი 2016 წ.

ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელებში მაუწყებლების დაშვების მარეგულირებელი წესების შესახებ კომისიის დადგენილების პროექტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის N1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 20 მაისის N6/14 ბრძანების მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელებში მაუწყებლების დაშვების მარეგულირებელი წესების შესახებ კომისიის დადგენილების პროექტის მომზადების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

   ა) გიორგი კვერენჩხილაძე - კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

   ბ) ივანე მახარაძე - კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;

   გ) ეკატერინე ჭახრაკია - კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

   დ) თამარ ხუხუნაიშვილი - კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ე) ნოდარ ასპანიძე - კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულმა პირებმა უზრუნველყონ ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელებში მაუწყებლების დაშვების მარეგულირებელი წესების შესახებ კომისიის დადგენილების პროექტის მომზადებასთან დაკავშირებით ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ დავალებული სამუშაოს შესრულება;

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 1 ივლისი;

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსს გიორგი კვერენჩხილაძეს;

5. ბრძანება ძალაში შედის კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

6. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე